საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულაკი მიკოლა ივანეს ძე

გულაკი მიკოლა ივანეს ძე [1822, ზოლოტონოშის რ-ნი, პოლტავის გუბ., ახლანდ. ჩერკასის ოლქი, – 26. V (7. VI). 1899, ელიზავეტპოლი, ახლანდ. განჯა], უკრაინელი მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა დერპტის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი კირილე და მეთოდეს საზ-ბისა, რ-იც მიზნად ისახავდა ბატონყმობის დამხობას, სლავი ხალხების განთავისუფლებას ჩაგვრისა და დესპოტიზმისაგან, სლავური დემოკრ.- ფედერ. რესპ. შექმნას. გ., როგორც საზ-ბის ერთ-ერთი მთ. ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, 1847 დააპატიმრეს. გადაასახლეს პერმში. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას რუს. სხვადასხვა ქალაქში.

1863 მასწავლებლად გადმოიყვანეს ქუთ., ხოლო 1867 – თბილ. კლასიკურ გიმნაზიაში. გაზეთებში: „კავკაზი", „ნოვოე ობოზრენიე", „ობზორი" და სხვ. აქვეყნებდა წერილებს ქართველოლოგიის საკითხებზე. აღსანიშნავია გ-ის რეცენზიები ფ. ალტერის წიგნზე – „ქართული ლიტერატურის შესახებ" (1798) (გაზ. „კავკაზი", 1882, №271–272), ი. ჭავჭავაძისა და პ. უმიკაშვილის „ვისრამიანის" ქართ. გამოცემის (გაზ. „კავკაზი", 1885, №216), ვეფხისტყაოსნის ა. ლაისტისეული გერმ. თარგმანის თაობაზე (გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1891, 2. V).

განსაკუთრებით საინტერესოა გ-ის ნაშრომი ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამ გამოკვლევაში ორიგინალურად არის გაშუქებული პოემის იდეები და სახეები, განსაზღვრულია მისი ადგილი მსოფლიო ლიტ-რის საგანძურში და მოცემულია საინტერესო მსჯელობა ქართ. ლექსის ბუნების შესახებ.

გ. ავტორია ლინგვ. გამოკვლევისა „ქართული ენის ადგილი ინდოევროპულ ენათა ოჯახში".

თხზ.: Древнейшие авторы (греческие и римские) о Грузии и грузинских племенах (1876), საქართვ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი. ე. ვეიდენბაუმის არქივი, საქმე 490, ფ. 1–20; Древнейшее свидетельство о грузинском языке (1882), იქვე, საქმე 506, ფ. 1–90; О "Барсовой коже Руставели“, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1884, в. 4; О месте, занимаемом грузинским языком в семье индоевропейских языков, იქვე, 1899, в. 26.

ლიტ.: Б а к а н и д з е О. А., Из грузино-украинских связей, Тб., 1968; Из истории украинско-грузинских связей, К., 1971; Радужными мостами, К., 1968, с. 18–32.

ნ. ფორაქიშვილი